ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელნო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 5

1 9 8 7

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

78586

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (501) მაისი 1987 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განკოფილება პირველი

125. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის № 20 მუხიანის, გარდაბნის რაიონის № 97 აღთაღლის, ქალაქ მარნეულის № 168 ლენინის, ზესტაფონის რაიონის № 238 კვალითის, ჩოხატაურის რაიონის № 306 ბუკისციხის, გეგეჭკორის რაიონის № 350 ბანძის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქედის რაიონის № 424 ქედის საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დანიშვნის შესახებ.

126. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობაში საჯაროობის განვითარებისათვის მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმიანობის შესახებ.

127. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რუსთავის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 32 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

128. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ა. შარაშენიძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

129. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. მ. ახმედოვის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

130. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

131. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

132. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. დ. ბგანბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

133. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. დვალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

134. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ვ. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

135. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ფ. გ. ლაპიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

136. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. შენგელაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

137. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. შ. ჯანბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

138. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. თ. კაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

139. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. მ. კვიწინიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

140. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ტ. ალფენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

141. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ვ. კვანტალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

142. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. მ. ჭიაურელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

143. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ჩ. შაკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

144. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ვ. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

145. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

146. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ს. რუხაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

147. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

125 **ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის № 20 მუხიანის, გარდაბნის რაიონის № 97 აღთაღლის, ქალაქ მარნეულის № 168 ლენინის, ზესტაფონის რაიონის № 238 კვალითის, ჩოხატაურის რაიონის № 306 ბუკისციხის, გეგეჭკორის რაიონის № 350 ბანძის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქედის რაიონის № 424 ქედის საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ჩატარების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის № 20 მუხიანის, გარდაბნის რაიონის № 97 აღთაღლის, ქალაქ მარნეულის № 168 ლენინის, ზესტაფონის რაიონის № 238 კვალითის, ჩოხატაურის რაიონის № 306 ბუკისციხის, გეგეჭკორის რაიონის № 350 ბანძის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქედის რაიონის № 424 ქედის საარჩევნო ოლქებში კვირას, 1987 წლის 21 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ვილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 18 მაისი.
№ 1261—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

126 **სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობაში საჯაროობის განვითარებისათვის მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმიანობის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. შიხაშვილის ანგარიში და განიხილა პრეზიდიუმის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილების შემოწმების მასალები, აღნიშნავს, რომ რაიონული საბჭოსა და მისი აღმასკომის მიერ მშრომელთა წერილებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობაში საჯაროობის შემდგომი განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებები ნაკლებად ეფექტიანია და სრულად ვერ უპასუხებს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნებს.

საჯაროობა მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ გახდა მცხეთის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ძირითადი პრინციპი. იგი ჯეროვნად არ არის გამიზნული გარდაქმნის შესაბამისად მშრომელთა ახლებური, გაბედული აზროვნებისა და ცოცხალი შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენა-გაფართოებისათვის.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, აღმასკომებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველთვის მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საქმეს; დაბალია მათი საშემსრულებლო დისციპლინა და მომთხოვნელობა, კვლავ შეინიშნება მშრომელთა წერილებში დაყენებული საკითხების ზერელედ შესწავლის, განხილვა-გადაწყვეტის უსაფუძვლოდ გაჭიანურებისა და, არცთუ იშვიათად, პასუხის გაცემისაგან თავის არიდების ფაქტები.

სუსტია რაიაღმასკომის მიერ მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებათა შესრულების კონტროლი, რაც იწვევს მოქალაქეთა განმეორებით საჩივრებს და აიძულებს მათ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს.

გასული და მიმდინარე წლის განცხადება-საჩივრების ანალიზი ცხადყოფს, რომ რაიაღმასკომი სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნებს საბინაო-კომუნალური, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ. რაიონის 64 სოფლიდან 23-ში არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ობიექტები.

მოსახლეობა და შრომითი კოლექტივები ნაკლებად არიან ინფორმირებული არსებული პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ; ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ამ პრობლემების განხილვა-გადაწყვეტაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის პრაქტიკა.

სრულყოფილად არ არის გამოყენებული საჯაროობის ისეთი ფორმები, როგორიცაა მოსახლეობასა და შრომითს კოლექტივებთან შეხვედრები, მოსახლეობის საერთო კრებები, სოფლის ყრილობები და ღია წერილის დღე. რიგ შემთხვევებში ისინი ფორმალური და კამპანიური ხასიათისაა; არ არის შექმნილი პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, მიღებული გადაწყვეტილებები ზერელეა; ნაკლები ყურადღება ექცევა შეხვედრებზე მოსახლეობის მირ გამოთქმული წინადადებებისა და თხოვნის შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლს და შედეგების თაობაზე მის ინფორმირებას; მსჯელობის საგანი არც ერთხელ არ ყოფილა წლების განმავლობაში თანასოფლელთა ოჯახებს შორის მწვავე კონფლიქტური დავის საკითხი, რაც რაიონში არცთუ იშვიათია; არ შექმნილა მათ მიმართ საზოგადოებრივი აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა წერილებზე მუშაობის საჯაროობას ასევე ვერ უზრუნველყოფს ყოფს რაიონში დეპუტატთა ერთიანი დღის ჩატარების პრაქტიკა. 1986 წლის დეკემბერში ამომრჩეველთა მიერ დეპუტატების წინაშე დაყენებული საკითხები დღემდე არ არის განზოგადებული და გაანალიზებული.

რაიონის ზოგიერთ ორგანიზაციაში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისათვის ნაკლებად გამოიყენება საჯაროობა. საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და იმ ორგანიზაციებში, რომლებიც აწარმოებენ საუწყებო საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, არ არის საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის თვალსაჩინოება. საჯაროობისა და დემოკრატიულობის გვერდის ავლამ განაპირობა ბინებისა და ზოგიერთი სამრეწველო საქონლის არასწორად განაწილება და მშრომელთა უკმაყოფილება, დამატებითი განცხადება-საჩივრები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საჯაროობას ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობაში. რაიონში რეალიზებულია ამომრჩეველთა განაწესების 72,3 პროცენტი. ამომრჩეველთა უმრავლესობა არ არის ინფორმირებული განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ. მშრომელთა მიმართვებზე მუშაობაში საჯაროობის უზრუნველყოფისათვის ეფექტიანად არ იყენებენ საბჭოების მუდმივ კომისიებსა და დეპუტატთა ჯგუფებს. უგულებელყოფილია სესიების წინ დღის წესრიგში შესატანი უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვის პრაქტიკა მუდმივ კომისიებში, შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მშრომელთა უმრავლესობა ნაკლებად იცნობს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმიანობას; აშვიათად ტარდება აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების გამსვლელი სხდომები. წილკანის, ცხვარიჭამიას, გალავნისა და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომები ანგარიშს არ აბარებენ მოსახლეობას, ხოლო რიგ შემთხვევებში დეპუტატები — ამომრჩეველს და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ყურადღება მიექცეს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობის საჯაროობის განვითარების სფეროში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

2. დაევალოს მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს:

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა წერილებზე მუშაობაში საჯაროობის შემდგომ გაფართოებას; სისტემატურად სრულყოს ამ მიმართულებით საქმიანობის ფორმები და მეთოდები; აამაღლოს საშემსრულებლო დისციპლინა;

— მიაღწიოს, რომ საჯაროობამ ხელი შეუწყოს ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გარდაქმნას, მოქალაქეთა შემოქმედებითი ინიციატივის გაფართოებას, მათი საქმიანი წინადადებების გამოყენებას რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; ყურადღებით შეისწავლოს და ოპერატიულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადაწყვიტოს მშრომელთა მიერ დაყენებული საკითხები, განხორციელებული ღონისძიებათა შესახებ დროულად აცნობოს მათ; სისტემატურად იზრუნოს, რომ მოსახლეობა უფრო მეტად იყოს ინფორმირებული რაიონის წინაშე მდგომი პრობლემების, აგრეთვე საბჭოთა, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ;

— უფრო მეტად გაფართოოს საჯაროობა და ეფექტიანად გამოიყენოს მისი ისეთი ფორმები, როგორიცაა სოფლის ყრილობები, მოსახლეობის კრებები, შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას გამსვლელი მიღებები, შეხვედრები და ღია წერილის დღე; მეტი ყურადღება დაუთმოს მათ ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებას, ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასების მიზიდვას; სოფლის ყრილობებისა და მოსახლეობის კრებების მსჯელობის საგნად გახადოს ოჯახებს შორის მწვავე მეზობლური დავა, შექმნას მათ მიმართ საზოგადოებრივი აზრი;

— სრულად გამოიყენოს მშრომელთა წერილებზე მუშაობაში საჯაროობის გაფართოებისათვის დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფებისა და მუდმივი კომისიების შესაძლებლობანი; პრაქტიკაში დანერგოს აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების გამსვლელი სხდომების ჩატარება, შრომითს კოლექტივებში რაიონს საჭირბოროტო საკითხების განხილვა, დეპუტატთა და ამომრჩეველთა რეგულარული ინფორმირება განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

3. მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა (ამხ. გ. შიხაშვილი) ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1988 წლის მაისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 28 მაისი.
№ 1278—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

127 რუსთავის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 32 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვე-

ვის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 32 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისა და რეგისტრაციის ვადა გაგრძელდეს 1987 წლის 5 ივნისამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 28 მაისი.
№ 1282—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

128 ამხ. ვ. ა. შარაშენიძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ამხ. ვიქტორ აბიბოს ძე **შარაშენიძე** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 მაისი.
№ 1284—XI

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

129 ამხ. შ. მ. ახმედოვის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი, შინაგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურის უფროსი ლეიტენანტი შახმირ მადატ ოღლი **ახმედოვი** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** (სიკვდილშემდგომ).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 მაისი
№ 1271—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

130 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

ვასილ პეტრეს ძე **მაციკა** — ჯარის ნაწილის რიგითი.

გახრამან ალი ოღლი **მეხტიევი** — ლეიტენანტი.

ალექსანდრე დიმიტრის ძე **ტალკო** — ჯარის ნაწილის რიგითი.

ვალერი თევდორეს ძე **ფუფლიგინი** — კაპიტანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 მაისი.
№ 1272—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

131 თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის, კვალიფიციური შემოქმედებითი კადრების მომზადებისათვის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით **თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 მაისი.
№ 1252—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

132 ამხ. ლ. დ. გგანგბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. ლილი დუგუჟის ასული **ბგანბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 მაისი.
№ 1256—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

133 ამხ თ. ვ. დვალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახშემოსავლების სამმართველოს უფროსი ამხ. თეიმურაზ ვარლამის ძე **დვალი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 მაისი.
№ 1250—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

134 ამხ. ი. ვ. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იმედი ვლადიმერის ძე **კახიანი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 მაისი.
№ 1154—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

135 ამხ. ფ. გ. ლაპიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ფარნაოზ გიორგის ძე **ლაპიაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 მაისი.
№ 1251—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

136 ამხ. გ. ნ. შენგელაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტისტი, კინორეჟისორი გიორგი ნიკოლოზის ძე **შენგელაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 მაისი.
№ 1253—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

137 ამხ. ნ. შ. ჯანბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, კულტურისა და მეცნიერების დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. ნოდარ შალვას ძე **ჯანბერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 მაისი.
№ 1255—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

138 ამხ. თ. თ. კაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. თალიკო თევდორეს ასული **კაველიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 მაისი.
№ 1259—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

139 ამხ. ს. მ. კვიწინიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საოლქო გაზეთ „ოფსნი ყაფშის“ რედაქტორი ამხ. სერგი მიხეილის ძე **კვიწინია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 15 მაისი.
№ 1260—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

140 ამხ. ვ. ტ. ალფენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ვლადიმერ ტარასის ძე **ალფენიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 20 მაისი.
№ 1267—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

141 ამხ. რ. ვ. კვანტალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. როინ ვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმერის ძე **კვანტალიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 20 მაისი.
№ 1264—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

142 ამხ. ს. მ. ჭიაურელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სოფიო (სოფიკო) მიხეილის ასული **ჭიაურელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 20 მაისი.
№ 1266—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

143 ამხ. ი. ჩ. შაკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ილარიონ ჩაგუს ძე **შაკაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 21 მაისი.
№ 1268—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

144 ამხ. ჯ. ვ. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დიდების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციის“ უფროსი ამხ. ჯიმშერ ვასილის ძე **ქაჯაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 მაისი.
№ 1274—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

145 საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

ელისაბედ პეტრეს ასულ **გრძელიშვილს** — თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების საბიუჯეტო ინსპექციის უფროსს.

გიორგი ალექსანდრეს ძე **ედიშერაშვილს** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივი მეურნეობის, ავტოტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაფინანსების სამმართველოს განყოფილების უფროსს.

ვახტანგ პეტრე ძე **თათრიშვილს** — პენსიონერს.

ნიკოლოზ ვიქტორის ძე **კაპანაძეს** — ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების საბიუჯეტო ინსპექციის უფროსს.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **კილაძეს** — წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგეს.

რომანოზ ივანეს ძე **კურატაშვილს** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საშტატო სამმართველოს უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ გიორგის ძე **რევაზიშვილს** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მთავარ კონტროლიორ-რევიზორს.

ანტონ პართენის ძე **ჩიხლაძეს** — ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროს ეკონომისტს აგროსამრეწველო კომპლექსის დაფინანსების დარგში.

ლამარა შალვას ასულ **ხოხიაშვილს** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მრეწველობის დაფინანსების სამმართველოს განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"

იულია იასონის ასულ **თათარიშვილს** — ხობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს ბიუჯეტის დარგში.

დია დონატის ასულ **შელკოვნიკოვას** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

მარიამ ივანეს ასულ **ჯიოევას** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 მაისი.
№ 1250—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

146 ამხ. რ. ს. რუხაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის მთავარსაქწყალმშენის ტრესტ „მტკვარწყალმშენის" სამშენებლო უბნის უფროსს ამხ. რიხი სილოვანის ძე **რუხაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 მაისი.
№ 1275—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

147 საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სასოფლო მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

გივი მირონის ძე **ჩუბინიძეს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური სახელმწიფო კოოპერატიულ-სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენის“ თავმჯდომარის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“

ციალა ირაკლის ასულ **ცხოვრებაძეს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური სახელმწიფო კოოპერატიულ-სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენის“ საპროექტო ინსტიტუტ „საქრაიონთაშორისოკოლმეურნეპროექტის“ პროექტის მთავარ არქიტექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 მაისი.
№ 1283—XI

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1987 წლის 28 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მოისმინა ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. თ. კუბლაშვილის ინფორმაცია „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გაწეული მუშაობის თაობაზე. აღინიშნა, რომ ამ კანონის მოთხოვნათა განხორციელების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ წარმოება-დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იხილავენ დეპუტატთა წინადადებებს ან არღვევენ მათზე პასუხის გაცემის ვადებს. აძმრჩეველთა მიერ დასმული საკითხებისადმი უყურადღებო, ზერელე დამოკიდებულების გაძო დაბალია აძოძრჩეველთა აქტიურობა კრებებზე, სადაც ახგარიძს აბარებენ სასოფლო საბჭოების აღმასკომები და დეპუტატები.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანდო ყურადღებას არ უთმობენ დეპუტატების სწავლებას და, კერძოდ, დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის შესწავლას, სისტემატურად არ ატარებენ „დეპუტატის დღეს". სუსტად მუშაობენ საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარ-ლექტორიუმი და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა სკოლები, ძაძინ, როდესაც ბევრი დეპუტატი ჯეროვნად ვერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობებში, აქტიურად არ ძოხაწილეობს საბჭოს საქმიანობაში.

ძთელ რიგ აღმასკომებში დეპუტატთა მუშაობისათვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები. კვლავ არ არის დეპუტატის ოთახი ან დეპუტატის კუთხე კურსების, ჯვარისის, საწირის, ორპირისა და ხრესილის სასოფლო საბჭოების აღმასკომებში. ისინი ხშირად საჭირო დახმარებას არ უწევენ დეპუტატებს ამომრჩეველებთან შეხვედრების, მათი განაწესების შესრულების ორგანიზაციაში, არ აწვდიან საცხობარო-საინფორმაციო მასალებს.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა დეპუტატთა მონაწილეობას მუდმივი კომისიების საქმიანობაში. ამ კომისიებში ძხოლოდ ერთეული დეპუტატები მუშაობენ, დახარჩენები კი ფორმალურად ირიცხებიან მათს შემადგენლობაში. განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ საბჭოების სამანდატო კომისიები, ზოგიერთ მათგანს სამუშაო გეგმაც კი არ გააჩნია. საქალაქო და სასოფლო საბჭოების რიგი კომისიები არარეგულარულად ატარებენ სხდომებს, საკითხებს იხილავენ ზოგადად, მიღებული გადაწყვეტილებები არაკონკრეტულია და ზეგავლენას ვერ ახდენს საქმის რეალურ ძდგომარეობაზე.

დეპუტატების უმრავლესობა აქტიურად არ არის ჩაბმული დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობაში. ბევრი ჯგუფისა და საგუშაგოს ძუშაობა კამპანიური ხასიათისაა, მათი ყურადღების მიღმა რჩება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. თ. კუბლაშვილის იხფორმაცია „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ" სსრ კავშირის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გაწეული მუშაობის შესახებ და დაავალა ქ. ტყიბულის ზონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, მათს აღმასკომებს:

უზრუნველყონ „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ" სსრ კავშირის კანონის განუხრელად შესრულება;

შეუქმნან დეპუტატებს მუშაობის საჭირო პირობები, აქტიური დახმარება აღმოუჩინონ ამომრჩევლებთან შეხვედრებში, განაწესების შესრულებაში, მიაწოდონ საჭირო საცნობარო-საინფორმაციო მასალები; პრინციპულად იმს-

№ 5

ჯელონ დეპუტატთა მიერ დაყენებული საკითხების უყურადღებოდ დატოვების თითოეულ ფაქტზე;

გაუმჯობესონ ამომრჩეველთა განაწესების განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების ორგანიზაცია; გააძლიერონ დეპუტატთა მონაწილეობა საბჭოებისა და მათი აღმასკომების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების ორგანიზატორულ მუშაობაში, სხვადასხვა აქტუალური სოციალური საკითხების გადაწყვეტაში;

მტკიცედ დაიცვან კანონის მოთხოვნები დეპუტატთა მიერ მათი უფლებამოვალეობების განუხრელი შესრულებისათვის საჭირო პირობების შექმნის თაობაზე; მკაცრად მოჰკითხონ იმ პირთ, რომლებიც აფერხებენ ან ხელს უშლიან დეპუტატთა საქმიანობას, ლახავენ მათს შრომითს უფლებებს;

წინასაარჩევნო კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ" სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს, განუმარტონ დეპუტატობის კანდიდატებს მათი შინაარსი და მნიშვნელობა, განხორციელების მეთოდები;

სისტემატურად იზრუნონ დეპუტატთა აქტიურობის განუხრელი ამაღლებისათვის, უფრო მეტად ჩაბან ისინი სესიებისა და აღმასკომების, მუდმივი კომისიების სხდომების განსახილველი საკითხების მომზადებაში, მიაღწიონ, რომ დეპუტატები ფართოდ იყენებდნენ სესიებზე შეკითხვის წესით საკითხის დაყენების უფლებას; გადამჭრელი ზომები მიიღონ საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის; მტკიცე კონტროლი დაწესონ საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულებისადმი.

* *
*

სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხი დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად ომისა და შრომის ფრონტის აქტიურ მონაწილეთა სსრ კავშირის ორდენებითა და საიუბილეო მედლებით დასაჯილდოებლად აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის საქმიანობის შესახებ.

დაეგზავნათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უახლოეს პერიოდში მთლიანად დაამთავრონ დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილეთათვის ჯილდოების გადაცემა; დღენიადაგ იზრუნონ ომის მონაწილეთა და ომში დაღუპულთა ოჯახების სოციალური და საბინაო-კომუნალური პირობების შემდგომ გაუმჯობესებაზე; მიაღწიონ, რომ ომის მონაწილენი ყველგან დაუბრკოლებლად სარგებლობდნენ მინიჭებული შეღავათებით.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილებები.